შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 46827

23/09/2013

ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანების 37^{2} მუხლის 1^{1} პუნქტის, 37^{15} მუხლის მე-6-მე-7 პუნქტების, „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 16 სექტემბრის N304 ბრძანების მე-2 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირების ჩატარების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეს - გიორგი ბაქრაძეს.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლაშა ხუციშვილი

სამსახურის უფროსი
შემოსავლების სამსახური

დანართი N1

ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირების ჩატარების წესი

მუხლი 1 . ალტერნატიულ აუდიტორთა ტესტირების ჩატარების მიზანი

1. ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირების (შემდგომში - ტესტირება) მიზანს წარმოადგენს ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მიზნით კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა, მომავალში განსახორციელებელ საქმიანობასა და ფუნქციებთან აუდიტორის უფლებამოსილების მინიჭების მსურველი პირის (შემდგომში - კანდიდატი) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა.

2. ტესტირება შესაძლებელია ჩაუტარდეთ ამ ბრძანების ამოქმედების მომენტისათვის შესაბამისი უფლებამოსილებისა და კატეგორიის მქონე აუდიტორებსაც.

მუხლი 2. ტესტირების ჩატარების ორგანიზება

1. ტესტირების ჩატარების ორგანიზებას ახორციელებს ტესტირების ორგანიზატორი, რომელიც შესაძლებელია იყოს შემოსავლების სამსახური ან/და შემოსავლების სამსახურის მიერ შერჩეული პირი (შემდგომში - შერჩეული პირი).

2. ტესტირების ორგანიზატორს ევალება ტესტირების მომზადებისა და ჩატარებისათვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის, კანდიდატთა ელექტრონული განცხადებების მიღება/დამუშავება, ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანდიდატთათვის ინფორმაციის მიწოდება განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე.

3. თუ ტესტირების ორგანიზებას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის მიერ შერჩეული პირი, მხარეთა უფლება/მოვალეობები დამატებით განისაზღვრება მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

მუხლი 3. ტესტირებაში მონაწილეობის მიღების პირობები

1. ტესტირების ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია თავსდება ტესტირების ორგანიზატორის ვებ-გვერდზე.

2. ტესტირებაში მონაწილეობის უფლება ეძლევა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი ეკონომიკური/იურიდიული განათლება ან/და აუდიტორული/ბუღალტრული საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და ფლობს სახელმწიფო ენას.

3. შემოსავლების სამსახურის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას შესაბამისი განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა კანდიდატის მიერ.

4. ტესტირებაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. ტესტირებაში კანდიდატის პირველად მონაწილეობა ფინანსდება შემოსავლების სამსახურის მიერ.

6. ტესტირებაზე დასაშვებად კანდიდატმა უნდა გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია, კერძოდ, შევსებული უნდა იქნას ტესტირების ორგანიზატორის ვებ-გვერდზე განთავსებული შესაბამისი განაცხადის ფორმა.

7. ტესტირების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ტესტირების ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 15 სამუშაო დღით ადრე.

7. კანდიდატთა განაცხადების მიღება წყდება ტესტირების ჩატარების თარიღამდე 5 სამუშაო დღით ადრე.

8. ელექტრონული რეგისტრაციის წარმატებით გავლისა და ტესტირებაზე დაშვების შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ ტესტირების ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 2 კალენდარული დღით ადრე მათ მიერ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე.

9. მიღებული განაცხადების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტესტირებაზე დაშვების საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა მიენიჭოს კანდიდატს, ვისაც ტესტირებაზე გასვლის ნაკლები რაოდენობა აქვს.

მუხლი 4. ტესტირების დრო

1. კანდიდატები უნდა გამოცხადდნენ ტესტირების ორგანიზატორის ვებ-გვერდზე მითითებულ დღეს, შესაბამის დროსა და ადგილზე და თან უნდა იქონიონ როგორც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ელექტრონული რეგისტრაციისას შევსებული განაცხადის ფორმა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების გარეშე კანდიდატი ტესტირებაზე არ დაიშვება. ამასთან, ტესტირებაზე არ დაიშვებიან დაგვიანებით გამოცხადებული კანდიდატები.

3. ტესტირებაზე გამოუცხადებლობა, დაგვიანებით გამოცხადება ან/და შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე გამოცხადება კანდიდატს ართმევს უფლებას, მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება, მიუხედავად იმისა, ობიექტური მიზეზით იყო თუ არა გამოწვეული აღნიშნული გარემოებების დადგომა.

მუხლი 5. ტესტირების პროცედურა

1. ტესტირება ტარდება წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე.

2. ტესტების ნიმუშებს, თემატიკას და საგამოცდო ტესტებს ადგენს შემოსავლების სამსახური.

3. საგამოცდო ტესტების თემატიკა გამომდინარეობს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან.

4. ტესტირება გრძელდება 3 საათი. დროის ამოწურვის შესახებ ტესტირების ორგანიზატორის წარმომადგენელი (შემდგომში - დამკვირვებელი) 2-ჯერ აცნობებს კანდიდატებს - 20 წუთით და 10 წუთით ადრე.

მუხლი 6. ტესტირებაზე მუშაობის წესი

1. ტესტირების დაწყებამდე ტესტირების ორგანიზატორი უზრუნველყოფს კანდიდატთათვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას, მათთვის ტესტების შევსების წესისა და სხვა ტექნიკური საკითხების ახსნას, ამ ბრძანებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების გაცნობას.

2. ტესტი შედგება 23 კითხვისაგან. მათგან 20 არის ტესტური ხასიათის კითხვა, რომელთაგანაც თითოეული სწორი პასუხი შეფასდება ერთი ქულით, ხოლო 3 არის ღია ტიპის კითხვა, რომელთაგანაც თითოეული შეფასდება მაქსიმუმ სამი ქულით.

3. ტესტური ხასიათის კითხვაში არის მხოლოდ ერთი სწორი პასუხი. კანდიდატმა ოთხი სავარაუდო პასუხიდან უნდა შემოხაზოს ის პასუხი, რომელსაც მიიჩნევს სწორად. პასუხის გადასწორების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა გადახაზოს არასწორად შემოხაზული პასუხი და შემოხაზოს სხვა პასუხი, რასაც ხელმოწერით ადასტურებს დამკვირვებელი.

4. ღია ტიპის კითხვა ითვალისწინებს კანდიდატის მსჯელობას დასმულ საკითხთან დაკავშირებით და მსჯელობის/საკითხის გადაწყვეტის სისწორიდან გამომდინარე შეფასება შესაძლებელია განისაზღვროს 0 (ნული) ქულიდან სამ ქულამდე.

5. თუ კანდიდატის მიერ შემოხაზულია არასწორი პასუხი, შემოხაზულია ერთზე მეტი პასუხი ან შემოხაზული არა არის არც ერთი პასუხი, ტესტი შეფასდება 0 (ნული) ქულით. 0 (ნული) ქულით შეფასდება ტესტის ისეთი შესწორებული პასუხიც, რომელიც არ იქნება დადასტურებული დამკვირვებლის ხელმოწერით.

მუხლი 7. კანდიდატის უფლება-მოვალეობები

1. ტესტირებისას კანდიდატს ეკრძალება:

ა) დამხმარე ლიტერატურის ან სხვა სახის სასწავლო მასალის (ინსტრუქციები, კომენტარები და ა.შ.) გამოყენება, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და ტესტირების ორგანიზატორის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;

ბ) ნაშრომზე სახელის, გვარის, მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ან ტექსტის დატანა სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი ადგილის გარდა. რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი შეფასდება 0 (ნული) ქულით.

გ) ტესტირების მიმდინარეობისას გადალაპარაკება, სხვა პირისაგან დახმარების გაწევა, მიღება ან რაიმე ფორმით ხელის შეშლა.

დ) მობილური ტელეფონის, კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებისა და ელექტრონული აპარატურის გამოყენება.

ე) სამუშაო ადგილის დამკვირვებლის ნებართვის გარეშე დატოვება;

ვ) ტესტირებისათვის განსაზღვრული დროის გადაცილება.

2. კანდიდატის მხრიდან პირველ პუნქტში მითითებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებელი აძლევს მას ზეპირ გაფრთხილებას, ხოლო გამეორების შემთხვევაში კანდიდატი მოიხსნება ტესტირებიდან.

3. კანდიდატს უფლება აქვს :

ა) ტესტირებაზე თან იქონიოს წყალი და კალკულატორი.

ბ) საჭიროების შემთხვევაში, შეკითხვის არსებობის, აუდიტორიიდან გასვლის სურვილის ან რაიმე სახის პრობლემის დადგომისას ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს.

გ) გაეცნოს ტესტების ნიმუშებს ტესტირების ორგანიზატორის ვებ-გვერდზე.

მუხლი 8. ტესტირების შედეგები და გამსვლელი ქულა

1. ტესტირების შედეგები კანდიდატებს ეცნობებათ მათ მიერ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე, ტესტირების ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2. შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული გამსვლელი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პირს გადაეცემა შესაბამისი დოკუმენტი - სერტიფიკატი.

3. სერტიფიკატი ხელმოწერილი იქნება შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტესტირების ორგანიზებას ახორციელებს შერჩეული პირი - ასევე მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

4. მიღებული სერტიფიკატი პირს უფლებას აძლევს სერტიფიკატის გაცემიდან 3 წლის განმავლობაში მიენიჭოს აუდიტორის უფლებამოსილება და კატეგორია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ ბრძანების ამოქმედების მომენტისათვის შესაბამისი უფლებამოსილებისა და კატეგორიის მქონე პირებზე, თუ მათ გაიარეს ტესტირება და მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატი.

მუხლი 9. შედეგების გასაჩივრება

1. კანდიდატს უფლება აქვს ტესტირების შედეგები გაასაჩივროს შედეგების გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. კანდიდატის მიერ შედეგების გაცნობად ითვლება ტესტირების ორგანიზატორის მიერ კანდიდატისათვის განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

3. საჩივარი წერილობითი ფორმით წარედგინება ტესტირების ორგანიზატორს.

4. ტესტირების ორგანიზატორის მიერ მიღებული საჩივარი განსახილველად გადაეცემა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებულ საპრეტენზიო კომისიას, რომელიც მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს შემოსულ საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ.

5. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით.

6. საჩივრის განხილვა ხორციელდება კანდიდატთან ერთად.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ტესტირების ორგანიზატორის მიერ ეცნობება კანდიდატს.